ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95251152**

თარიღი:**25/04/2025**

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4-ე, პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა 26 მაისის ქ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 32.5 კვ.მ. ფართის (ს/კ. 21.03.35.021.01.500) (გადასაცემი შენობის ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი